საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/100

ქ. ბათუმი 13 აგვისტო, 2018 წ.

ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 33-37-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–13, 56-ე-61-ე მუხლების, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 და მე-8 მუხლების, „2018 წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების პირთა აფილირების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N01-08/18 ბრძანებისა და „2018 წლის ივლისში ჩატარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივლისის N78 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან დასადები შრომითი ხელშეკრულების თანდართული ფორმა (**დანართი** 1).
2. ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს 2018 წლის ივლისში ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომის ხელშეკრულებების (წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად) გაფორმების უზრუნველყოფა, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივლისის N78 დადგენილების, თითოეული კონკურსანტის ანკეტისა და მის მიერ წარმოდგენილი ბსუ-სთან აფილირების განაცხადის (შეთანხმების) გათვალისწინებით.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები და 2018 წლის ივლისში ჩატარებული აკადემიური პერსონალის კონკურსის ველში).
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის
13 აგვისტოს N------- ბრძანების
01-08/100
დანართი 1

შრომის ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ასოცირებული პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და (შემდეგში - „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი ——————————————————————— (შემდეგში „დასაქმებული"), შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია დასაქმებულის მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ---------- N---------- დადგენილების საფუძველზე დაკავებულ ---------- აკადემიურ თანამდებობაზე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი საქმიანობის (შემდეგში ,,აკადემიური საქმიანობის") წარმართვა.
2. დასაქმებულის აკადემიური საქმიანობა მოიცავს ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით (შემდეგში **,,აფილირების წესი")** გათვალისწინებულ აქტივობებს, მათ შორის, ყოველ სასწავლო წელს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სავალდებულო აკადემიურ დატვირთვას.
3. დასაქმებულის ყოველწლიური აკადემიური დატვირთვის ბრძანებით განისაზღვრება აკადემიური დატვირთვის სახეობა (ლექცია/ჯგუფში მუშაობა/ლაბორატორიული/პრაქტიკული და სხვა), სამუშაო დატვირთვის მოცულობა (საათების რაოდენობა), მისი შესრულების პერიოდი (სემესტრი) და სამუშაო ადგილი.
4. დასაქმებულის ყოველწლიური აკადემიური დატვირთვის ბრძანება განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. **დასაქმებულს უფლება აქვს:**

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა აქტების შესაბამისად;

გ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ) ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით, აკადემიური შვებულებით ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი პირობებითა და ვადით;

ე) ისარგებლოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

2. **დასაქმებული ვალდებულია:**

ა) შეასრულოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

ბ) ბსუ-ში აკადემიური საქმიანობა წარმართოს აკადემიური საქმიანობის მარეგულირებელი ბსუ-ს სამართლებრივი აქტების (შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და სხვა აქტების), ,,აფილირების

შეთანხმების“ (განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების დანართად), აფილირების წესისა და ბსუ-ს სასწავლო პროცესის ცხრილების შესაბამისად;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო და სალექციო კურსის/მოდულის შემდგომ სრულყოფა-გაუმჯობესებაზე და სასწავლო პროცესში გამოიყენოს ბსუ-ში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები;

დ) გაუფრთხილდეს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დამსაქმებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება;

ე) შეასრულოს ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის მოთხოვნები და რეგულარულად გაეცნოს ბსუ-ს წესდებაში, შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსში, ბსუ-ში აკადემიური საქმიანობის და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც არის ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ–ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია ბსუ-ში მოქმედი აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები;

ბ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა აქტების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს დასაქმებულის აკადემიური თავისუფლება, რათა ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ) ბსუ-ს აქტებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

ე) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა ისარგებლოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

1. დასაქმებულის შრომითი გასამრჯელო მოიცავს:

ა) მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს/ხელფასს - ---------- ლარს, რომელიც გაიცემა ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის პირველი რიცხვისა;

ბ) ბსუ-ში საათობრივი ანაზღაურების წესით შესრულებული სამუშაოსათვის შრომის ანაზღაურებას და ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილ დანამატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გაიცემა დამსაქმებლის ბრძანების შესაბამისად, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

2. დასაქმებულისათვის თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) ყოველთვიურად მიცემის საფუძველია შესაბამის სასწავლო წელს, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული აკადემიური

დატვირთვა, შედგენილი ბსუ-ში აკადემიური საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებისა და ამ ხელშეკრულებაზე თანდართული „აფილირების შეთანხმების“ მიხედვით. აღნიშნულ აქტებში ცვლილების შეტანა, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, განხორციელდება წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის გარეშე. დასაქმებულის არასრული აკადემიური დატვირთვის შემთხვევაში გაიცემა მისი თანამდებობრივი სარგოს პროპორციული ხელფასი.

3. დასაქმებულისათვის, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით სხვა (გარდა ყოველწლიური სავალდებულო აკადემიური დატვირთვისა) სამუშაოს დაკისრება არ საჭიროებს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.
4. დასაქმებულის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება ბსუ-ს საშტატო განრიგით. შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) დგინდება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელსაც გაცნობილია დასაქმებული ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის (ტარიფების ცვლილება არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას).
5. დასაქმებულის მიმართ წახალისების ღონისძიებების (პრემია ან სხვა ფულადი ჯილდო) გამოყენების საკითხი რეგულირდება ბსუ-ს შინაგანაწესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

1. ხელშეკრულება ძალაშია ---- წლის ---------- და მოქმედებს ---------- მდე.
2. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება, გაკეთებული შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე;

ბ) დასაქმებულის შრომისუუნარობა (საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში) ან გარდაცვალება;

გ) ბსუ-ს ან/და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ჩატარებული, სასწავლო პროცესისა და პერსონალის მუშაობის პერიოდული შეფასებების შედეგად მიღებული არადამაკმაყოფილებელი შეფასება;

დ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ე) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლო წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში), ხოლო მეორე გადაეცემა - დასაქმებულს.

მხარეთა ხელმოწერები:

„დამსაქმებელი“ „დასაქმებული“

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

_____ _____

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის რეგისტრ. მის: _____

N35/32 ---------- ----------

ფაქტ.საცხ.ადგ: ----------_____

ელექტ.მისამართ. --- ---- _____

საკონტ.ტელ. ---------- _____